

აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების უახლესი სტანდარტების ანალიზი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით

(საქართველოს სისხლის სამართლის
საპროცესო კოდექსის ადამიანის უფლებათა
ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ
სამართალთან შესაბამისობის ანალიზი)

თამარ ავალიანი

*სამართლის დოქტორი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ავილირებული
ასოცირებული პროფესორი*

საკვანძო სიტყვები: თავისუფლება, პრეზუმპცია,
სამართალდარღვევა

შესავალი

აღკვეთის ღონისძიებების შერჩევას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის სტანდარტების გამოყენება, ადამიანის თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების დაცვის მნიშვნელოვანი გარანტიაა. რიგი ევროპული სახელმწიფოების სასამართლოებმა თავის არაერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნეს ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებ-

ზე, როგორც ადამიანის უფლებების დაცვის მთავარ გზამკვლევზე¹.

ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენება ეროვნულ სასამართლოებს ეხმარება სწორად განმარტონ ეროვნული კანონმდებლობის ორაზროვანი ნორმები².

1. თავისუფლების კრეფუქცია

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს, რომ ყოველ ადამიანს უფლება აქვს იყოს თავისუფალი. თავისუფლების პრეზუმპცია მე-5 მუხლის არსებით მოთხოვნას წარმოადგენს.

თავისუფლებისა და უსაფრთხეობის უფლების მთავარი დანიშნულება თავისუფლების თვითნებური და გაუმართლებელი შეზღუდვისგან დაცვაა. „მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის თავისუფლება არ არის აბსოლუტური“³ „კანონმდებლობა ადგენს დაკავებისა და დაპატიმრების შესაძლებლობას მხოლოდ კანონმდებლობით მკაფიოდ გაწერილ შემთხვევებსა და წესით, დღის წესრიგში აყენებს თავისუფლების, უსაფრთხოების და სამართლიანობის რიგითი მოქალაქეებისათვის ხელშესახეობის უზრუნველყოფის აუცილებლობას“⁴ და „კრძალავს პირის მიერ საკუთარი ნებით ამ უფლებებზე უარის თქმას.“⁵

კონვენციის მე-5 მუხლის გარანტირებს,

1 Ress G., 1993. „The Effect of Judgments and Decisions in Domestic Law, in: The European System for the Protection of Human Rights”, R. Macdonald, F. Matscher & H. Petzold (Eds.), p. 842.

2 Bratza N., 1993., „The Treatment and Interpretation of the European Convention on Human Rights By the English Court, in: Aspects of Incorporation of the European Convention of Human Rights into Domestic Law”, J.P. Gardner (Ed.), p. 69;

3 Janis M. W., Kay r. S., Bradley A.W., 2010. „European Human Rights law”, Text and materials, third ed. 2008, p.608.

4 Jimeno-Bulnes M., 2010. „Towards Common Standards on Rights of Suspected and Accused persons in Criminal Proceedings in the EU?”, February., CEPS, 2.

5 ვინტერვერპი (Winterwerp) ნიდერლანდების წინააღმდეგ, 6301/73, 24 ოქტომბერი, 1979, 37.

რომ თავისუფლება არ უნდა იქნას წართმეული იმაზე მეტი ვადით, ვიდრე ეს აბსოლუტურად აუცილებელია და რომ თავისუფლების შეზღუდვის შემთხვევაში შესაძლებელი უნდა იყოს მისი სწრაფად აღდგენა.

სისხლის სამართალწარმოებაში თავისუფლების შეზღუდვის ყველაზე გავრცელებული სახე არის დაკავება ან პატიმრობა, რაც წარმოადგენს ერთ-ერთ გამონაკლისს მე-5.1 მუხლის ზოგადი დებულებიდან, რომლის თანახმადაც, ყველას აქვს თავისუფლების უფლება⁶.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი, პირის კანონიერი დაკავებისა და დაპატიმრებისათვის სამ საფუძველს განსაზღვრავს:

- დასაბუთებული ეჭვის არსებობა, რომ დაკავებულმა ან დაპატიმრებულმა პირმა ჩაიდინა სამართალდარღვევა;
- საფუძვლიანად არის მიჩნეული თავიდან იქნას აცილებული პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენა;
- საფუძვლიანად არის მიჩნეული თავიდან იქნას აცილებული პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის შემდეგ გაქცევა⁷.

პირის დაკავებისა და დაპატიმრების სამივე საფუძვლის გამოყენების მიზანს კომპეტენტური სამართლებრივი ორგანოს წინაშე პირის წარდგენა წარმოადგენს⁸.

კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დაკავება ან დაპატიმრება უნდა წარმოადგენდეს პროპორციულ ზომას დასახული მიზნის მისაღწევად⁹.

პატიმრობა არის ადამიანის უფლებებსა

6 ბუზადჯი (Buzadji) მოლდოვას რესპუბლიკის წინააღმდეგ, 23755/07, 5 ივლისი, 2016, 84.

7 Donna C., 2013. (February). „Deprivation of Liberty: Has the European Court of Human Rights Recognised a ‘Public Safety’ Exception, Merkourios”, Volume 29, p. 33 <https://utrechtjournal.org/articles/abstract/10.5334/ujjel.bl/> (21.03.2019).

8 ლოუსისი (Lawless) ირლანდიის წინააღმდეგ, 332/57, 1 ივლისი, 1961, 13-14.

9 ლადენტი (Ladent) პოლონეთის წინააღმდეგ, 11036/03, 18 მარტი, 2008, 55-56.

და თავისუფლებებში ჩარევის ერთ-ერთი ყველაზე მკაცრი ფორმა და იგი გამოყენებული უნდა იქნეს საგამონაკლისო სახით. პირის თავისუფლებაში ჩარევის ნებისმიერი ღონისძიება უნდა განხილული იქნეს ერთის მხრივ, უდანაშაულობის პრეზუმპციისა და მეორეს მხრივ, საქმის სამართლიანი განხილვისთვის პირის თავისუფლების მნიშვნელობის ფონზე. პატიმრობის გამოყენება რელევანტურია მხოლოდ იმ შემთხვევაში „თუ არსებობს ჭეშმარიტი საჭარო ინტერესი, რომელსაც უდანაშაულობის პრეზუმპციის მიუხედავად შეუძლია გადაწონოს პიროვნების თავისუფლების მოთხოვნა“¹⁰.

კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი იმპერატიულად ადგენს, რომ ნებისმიერი თავისუფლების შეზღუდვა მოხდეს „კანონით დადგენილი წესით“. პირის დაკავების ან დაპატიმრების პროცედურამ უნდა დააკმაყოფილოს ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი წესები და არ უნდა იყოს თვითნებური. კონვენციისეული განმარტებით, კანონიერების მოთხოვნა ეხება როგორც დაკავების პროცესს, ისე დაკავების საფუძველსაც¹¹.

პირის დაკავება და დაპატიმრება ეროვნულ კანონმდებლობასთან ერთად უნდა შეესაბამებოდეს კონვენციის მე-5 მუხლის მიზანს, კერძოდ ინდივიდის დაცვას უკანონობისგან¹².

კონვენციის მე-5 მუხლის შესაბამის ეროვნულ ორგანოებს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას, სასამართლოს წინაშე წარმოადგინონ პირის დაკავების ან დაპატიმრების აუცილებლობის დამატებული არგუმენტები. „პრეზუმცია მოქმედებს პირის თავისუფლების სასარგებლოდ“¹³.

ბრალდებული უდანაშაულოდ ითვლება და დაუშვებელია მისი დაუსაბუთებელი პატიმრობა. ბრალდებული თავისუფალი უნდა იყოს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სახელმწიფოს შეუძლია წარმოადგინოს „რელევანტური“ და „საკმარისი“ საფუძველები პირის გახანგრძლივებულ პატიმრობაში ყოფნის გასამართლებლად¹⁴.

სსსკ-ის 205-ე მუხლი აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებით შესაბამისობაში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტებთან და პატიმრობის, როგორც „ერთადერთი საშუალების“ და უკიდურესი ღონისძიების გამოყენებას ითვალისწინებს, რათა თავიდან იქნას აცილებული ბრალდებულის მიმალვა და მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა; ბრალდებულის მიერ მტკიცებულების მოპოვებისთვის ხელის შეშლა და ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენა. პატიმრობის გამოყენების ამომწურავი საკანონმდებლო საფუძველების განსაზღვრას მინიმუმამდე დაჰყავს თვითნებური და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების მიღების რისკი.

თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს სსსკ-ის 198-ე მუხლი, რომელიც ადგენს, რომ ბრალდებულს პატიმრობა არ შეიძლება შეეფარდოს, თუ დასახული ლეგიტიმური მიზნის მიღწევა შესაძლებელია სხვა, ნაკლებად მკაცრი ღონისძიების გამოყენებით.

„პირის თავისუფლების და უსაფრთხოების უფლების განუხრელი დაცვით სახელმწიფო ხელს უწყობს თავისი უსაფრთხოების დაცვას, რომლის გარეშეც შეუძლებელია ადამიანის უფლებების სრულყოფილი რეალიზება.“¹⁵ „სახელმწიფო უსაფრთხოებას და პიროვნულ თავი-

10 ლაბიტა (Labita) იტალიის წინააღმდეგ, 26772/95, 6 აპრილი, 2000, 152.
 11 Mowbray A., 2013. „Cases, Materials, and Commentary on the European Court on Human Rights“ (3rd edn), p.7. [13 იანვარი, 2009, 75-ე პუნქტი; ფაცურია \(Patsuria\) საქართველოს წინააღმდეგ, 30779/04, 6 ნოემბერი, 2007, 66-67.
 14 ბახმუტსკი \(Bakmutskiy\) რუსეთის წინააღმდეგ, 36932/02, 25 ივნისი, 2009, 135-136.
 15 Human Rights in the Administration of Justice: A Manual on Human Rights for Judges, Prosecutors and Lawyers, 2008. P.211](http://www.oxfordlawtrove.com/view/10.1093/he/9780199577361.001.0001/he-9780199577361-chapter- (21.03.2019); ვინტერვერპი (Winterwerp) ნიდერლანდების წინააღმდეგ, 6301/73, 27 ნოემბერი, 1981, 59.

 12 კურტი (Kurt) თურქეთის წინააღმდეგ, 5/1997/799/1002, 25 მაისი, 1998.

 13 გიორგი ნიკოლაიშვილი (Nikolaishvili), №37048/04,</p>
</div>
<div data-bbox=)

სუფლებას შორის ქვეშარიტი ბალანსის დაცვისთვის უზრუნველყოფილი უნდა იქნეს, რომ თავისუფლების ნებისმიერი შეზღუდვა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ემყარებოდეს საგამონაკლისი საფუძველს, წარმოადგენდეს განსაკუთრებულ ზომას, იყოს ობიექტურად გამართლებული და გონივრულად ხანგრძლივი¹⁶.

2. გონივრული ეჭვი და ობიექტური დამკვირვებლის სტანდარტი

საერთაშორისო სამართალი პირის მიმართ სისხლის სამართლის პროცესში აღკვეთის ღონისძიების სახით თავისუფლების შეზღუდვას ძირითადად ორ შემთხვევაში ითვალისწინებს – დანაშაულის ჩადენის წინ და ჩადენის შემდეგ. იგი ორივე მათგანს გონივრული ეჭვის სტანდარტს უკავშირებს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, წინასწარი პატიმრობის ძირითადი პირობა სამართალდარღვევის ჩადენის შესახებ გონივრული ეჭვის არსებობაა.

გონივრული ეჭვი, რომელსაც დაკავება ან დაპატიმრება უნდა დაეფუძნოს, კონვენციის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველების გამოყენების არსებით, დამცავ ელემენტს წარმოადგენს¹⁷. გონივრული ეჭვის სტანდარტი უზრუნველყოფს, რომ თავისუფლების აღკვეთა განხორციელდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ეჭვი საფუძველიანია და შესაბამისად თავისუფლების აღკვეთა არ არის თვითნებური.

სამართალდარღვევის ჩადენის გონივრული ეჭვი ნიშნავს, რომ უნდა არსებობდეს საკმარისი ფაქტობრივი გარემოებები

და ინფორმაცია, რომლებიც ერთობლიობაში ობიექტურად იმის დასკვნის საშუალებას იძლევა, რომ ბრალდებულმა შესაძლებელია, ჩაიდინა დასჯადი ქმედება¹⁸. გონივრული ეჭვის სტანდარტს ობიექტური დამკვირვებლის ცნება შემოაქვს. გონივრული ეჭვი გულისხმობს, ინფორმაციისა და ფაქტების არსებობას, რომელიც ობიექტურ დამკვირვებელს დაარწმუნებდა, რომ პირმა შესაძლოა ჩაიდინა სამართალდარღვევა¹⁹. კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ეროვნულ სასამართლოებს ანიჭებს ვალდებულებას, გამოიკვლიონ, შესაბამისობაში არის თუ არა პატიმრობის გამოყენების საფუძველი გონივრული ეჭვის სტანდარტთან. „შესაბამისად, თუკი რელევანტური უწყებები ვერ შეძლებენ ძირითადი ფაქტების მოკვლევას, რათა სარჩელი დასაბუთებული იყოს, ეს ჩაითვლება მე-5 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის დარღვევად“²⁰.

აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის აუცილებელია სახეზე იყოს ფაქტობრივი და ფორმალური (საპროცესო) საფუძველები, ხოლო ერთ-ერთი მათგანის არარსებობა გამოიწვევს შესაბამისი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას. ფაქტობრივი საფუძველი უკავშირდება მტკიცებულებების საკითხს და შეფასებულ უნდა იქნეს საქმეზე არსებული ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობით, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა. ფორმალური (საპროცესო) საფუძველი მიემართება ეროვნული

16 Aydin Y., „The delimitation of the scope of one of the guarantees of personal security set out in the European Convention on Human Rights”, p.14.

17 მეჰმეთ ჰასან ალტანი (Mehmet Hasan Altan) თურქეთის წინააღმდეგ, 13237/17, 10 სექტემბერი, 2018, 124.

18 თსარკოვი (Tsarkov) რუსეთის წინააღმდეგ, 16854/03, 16 ივლისი, 2009, 45;

19 სელაჰატინ დემირტასი (Selahattin Demirtas) თურქეთის წინააღმდეგ, 14305/17, 20 ნოემბერი, 2018, 124. პუნქტი; ილგარ მამადოვი (Ilgar Mammadov) აზერბაიჯანის წინააღმდეგ, 15172/13, 20 მაისი, 2014, 88.

20 ბოხაშვილი ბ., მშვენიერაძე გ., ყანდაშვილი ი., 2016. ეჭვმიტანილთა საპროცესო უფლებები საქართველოში, თბ., გვ. 15, https://www.osgf.ge/files/2016/Publications/Reports_GEO-ENG-Web.pdf

კანონმდებლობით განსაზღვრული საფრთხეების (ბრალდებული მიიმალება ან არ გამოცხადდება სასამართლოში, გაანადგურებს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს) პრევენციას.

ექვის გონივრულობა საქმის ყველა გარემოებაზე და მოკიდებული, თუმცა გონივრული ეჭვი არ გულისხმობს იმ სტანდარტს, რაც გამოყენებულ უნდა იქნას სასჯელის შეფარდებისას ან თუნდაც ბრალდების წარსადგენად²¹. გონივრული ეჭვი უნდა ეხებოდეს ისეთი ქმედების ჩადენას, რომელიც შეიცავს ეროვნული სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს²² და არ გულისხმობს დანაშაულის ჩადენის ფაქტის გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დადგენას. კანონმდებლობის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის მიზნებისთვის, კითხვა შეეხება იმას, თუ რამდენად ხელს უწყობს დაპატიმრება ან დაკავება გამოძიების წინსვლას დანაშაულის ჩადენის შესაძლო ეჭვის დასადასტურებლად ან გასაქარწყლებლად. ანონიმური წყაროდან მიღებული ყურმოკრული მტკიცებულება, რომელიც არ იყო გამყარებული სხვა მტკიცებულებებით, სასამართლომ არ მიიჩნია საკმარისად „გონივრული ეჭვის“ არსებობისთვის, რომ პირი მონაწილეობდა მათიასთან დაკავშირებულ საქმიანობებში²³. აღნიშნულის საპირისპიროდ, დანაშაულის ჩადენაში მამხილებელი წლების წინ გაკეთებული განცხადებები, რომლებიც მოგვიანებით უკან წაიღეს ეჭვმიტანილებმა, არ აღმოფხვრავს გონივრული ეჭვის არსებობას განმცხადებლის წინააღმდეგ. უფრო მეტიც, ამან არ იქონია გავლენა დაკავების ორდერის კანონიერებაზე²⁴.

კონვენციის მე-5 მუხლის სტანდარტი მოითხოვს, რომ ეჭვი უტყუარად უნდა იყოს

შეფასებული. ეჭვის კეთილსინდისიერება (bona fide) და ნამდვილობა მისი გონივრულობის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს²⁵. გარდა იმისა, რომ დასაბუთებული ეჭვი უნდა იყოს bona fide (კეთილსინდისიერი), მხოლოდ მისი სახეზე ყოფნა არ არის საკმარისი, აუცილებელია, პირისათვის თავისუფლების აღკვეთა ობიექტური საფუძველი ჰქონდეს.

გონივრული ეჭვი ადამიანის სუბიექტური დამოკიდებულებაა და კანონმდებლობით მისი ამომწურავად განსაზღვრა შეუძლებელია. მისი წარმოშობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მთელი რიგ ობიექტური და სუბიექტური გარემოებების ერთობლიობაზეა დამოკიდებული. ეჭვი გონივრულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ იგი დაფუძნებული იქნება ფაქტებზე ან ინფორმაციაზე, რომელიც ავლენს პირის შესაძლო კავშირს დანაშაულთან. ფაქტები უნდა ეფუძნებოდეს ობიექტურ წერილობით მტკიცებულებებს, ექსპერტთა დასკვნებს და სხვა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ბრალდებულის ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულების წარდგენას არ ითხოვს.

ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – Merabishvili v. Georgia, განმარტა, რომ ადგილობრივი სასამართლოების მიერ გამოყენებული წინასწარი პატიმრობა იყო დასაბუთებული, კანონიერი და ემყარებოდა განჭვრეტად საკანონმდებლო ნორმებს. სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოებები, რომ მერაბიშვილს ჰქონდა სავარაუდოდ ყალბი საერთაშორისო პასპორტი, ამასთან მის საკუთრებაში აღმოჩნდა დიდი რაოდენობის ნაღდი ფული, ხოლო მისმა მეუღლემ სწრაფად დატოვა საქართველო მას შემდეგ რაც მერაბიშვილი დაბარებულ იქნა გამოძიების მიერ. ასევე, მოსარჩელემ სავარაუდოდ განახორციელა ბენოლა სასაზღვრო პოლიციის უფროსზე და პოლიციის ოფიცერზე. ამ გარემოებების გათვალისწინებით სასამართლომ მიიჩნია,

21 მერაბიშვილი (Merabishvili) საქართველოს წინააღმდეგ, 72508/13, 28 ნოემბერი, 2017, 184.
22 სტილი და სხვები (Steel and others) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 67/1997/851/1058, 23 სექტემბერი, 1998, 54.
23 ლაბიტა (Labita) იტალიის წინააღმდეგ, 26772/95, 6 აპრილი, 2000, 156.
24 ტალატ ტეპე (Talat Tepe) თურქეთის წინააღმდეგ, 31247/96, 21 მარტი, 2005, 61.

25 მური (Murray) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 14310/88, 28 ოქტომბერი, 1994.

რომ არსებობდა გამოძიების სათანადოდ წარმართვის ხელშეშლის საფრთხეები და შესაბამისად წინასწარი პატიმრობის გამოყენება დასაბუთებული იყო. აქედან გამომდინარე, კონვენციის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის (თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლების) დარღვევა სასამართლომ არ დაადგინა²⁶.

ევროპული სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ თავისუფლების შეზღუდვა არ შეიძლება დაეფუძნოს გრძობებს, ინტუიციას და წინასწარ ჩამოყალიბებულ წარმოდგენებს (იქნება ეს რელიგიური, ეთნიკური თუ სხვა სახის) რა დამატებებლაც არ უნდა მეტყველებდეს პირის მიერ დანაშაულის ჩადენაზე. შესაძლო სამართალდარღვევის ჩადენასთან დაკავშირებით ბუნდოვანი და ზოგადი მითითებების საფუძველზე პირის დაპატიმრება, კონვენციის მე-5 მუხლს ეწინააღმდეგება²⁷.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – Boicenco v. Moldova განმარტა, რომ წინასწარი პატიმრობის in abstracto გამოყენება დაუშვებელია. აღკვეთის ღონისძიება გამოიყენებულ უნდა იქნას მხოლოდ მკაცრად განწერილი საფუძველების არსებობისას, ხოლო პატიმრობა, როგორც უკიდურესი ღონისძიება, უნდა გამოიყენონ მხოლოდ სათანადო დასაბუთების შემთხვევაში და აუცილებლობისას²⁸.

ბრალდების სიმძიმე და მიმალვის, ახალი დანაშაულის ჩადენის ან შეთქმულების ჰიპოთეტური საშიშროება არ შეესაბამება ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოთხოვნებს.

გარდა თავდაპირველი დაკავებისა ან დაპატიმრებისა, გონივრული ეჭვი ასევე უნდა არსებობდეს გახანგრძლივებული პატიმრობის განმავლობაში (მთელი პატიმრობის პერიოდის განმავლობაში)²⁹.

26 მერაბიშვილი (Merabishvili) საქართველოს წინააღმდეგ, 72508/13, 14 ივნისი, 2016, 72-77.

27 Leach P., 2017. Taking a Case to the European Court of Human Rights, Fourth Edition, p. 316.

28 ბოიჩენკო (Boicenco) მოლდოვას წინააღმდეგ, 41088/05, 11 ივლისი, 2006, 142-143.

29 სელაჰატინ დემირტასი (Selahattin Demirtas) თურქეთის წინააღმდეგ, 14305/17, 20 ნოემბერი,

ის უბრალო ფაქტი, რომ პირს შეიძლება წარსულში რაიმე, თუმცა ანალოგიური დანაშაული ჰქონდეს ჩადენილი, არ შეიძლება იძლეოდეს გონივრული ეჭვის საფუძველს³⁰. მნიშვნელოვანია, რომ ეჭვი ეხებოდეს ამჟამინდელ სამართალდარღვევას და არა წარსულში ჩადენილს³¹. აუცილებელია, რომ შესაძლებელი იყოს არა მარტო გარკვეული კავშირის დადგენა თავისუფლებასა და პირსა და იმ ქმედებას შორის, რომელიც სავარაუდო დანაშაულს წარმოადგენს, არამედ საკმარისი საფუძველიც უნდა არსებობდეს იმის მტკიცებისთვის, რომ აღნიშნული ქმედება სავარაუდო დანაშაულის ნიშნებს შეიცავს³².

აღნიშნული პრობლემა ნიშანდობლივია ე.წ ახალი თუ იშვიათად ჩადენილი დანაშაულებისთვის, მაგრამ ცალკეული აკრძალვის არატიპიურმა ინტერპრეტაციამ შეიძლება ანალოგიურად მიგვიყვანოს იმ დასკვნამდე, რომ ეჭვი არ იყო გონივრული. თუ გონივრული ეჭვი, რომელმაც პირის დაკავება ან დაპატიმრება გამოიწვია აღარ არსებობს, პირისათვის პატიმრობაში ყოფნა კონვენციის მე-5 მუხლს ეწინააღმდეგება.

კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გონივრული ეჭვის სტანდარტი უთანაბრდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრულ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს, რომელიც აღკვეთის ღონისძიებების გამოყენებისას, როგორც მტკიცებულებითი სტანდარტი, უნდა დაკმაყოფილდეს. დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი საკმარისია დაკავების დროს განსჯადობის მიხედვით პირის სა-

2018,164.
30 ტრეჟსელი შ., 2009. ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., გვ. 441. ფოქსი, ქემზბელი და ჰარტლი (Fox, Campbell and Hartley) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 12244/86, 30 აგვისტო, 1990, 45.

31 K-F გერმანიის წინააღმდეგ, 44/1996/76/962, 27 ნოემბერი, 1997.

32 Macovei M., 2002. The Right to Liberty and Security of the Person, a guide to the implementation of article 5 of the European Convention of Human Rights, Human rights handbook, no.5, p. 26.

სამართლოში წარსადგენად. სსსკ-ის მე-3 მუხლით, დასაბუთებული ვარაუდი არის ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა, პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა. კონვენციის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი ეროვნულ სასამართლოებს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას, შეისწავლონ, შეესაბამება თუ არა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფაქტობრივი საფუძველი დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს (გონივრულ ეჭვს).

„დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი უზრუნველყოფს პირისთვის თავისუფლების შეზღუდვის დასაშვებობას ვარაუდის საფუძვლიანობის შემთხვევაში და გამორიცხავს თვითნებობას, იგი წარმოადგენს პირის თავისუფლების თვითნებური შეზღუდვისაგან დაცვის მნიშვნელოვან ნაწილს“³³.

„აუცილებელია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული დაპატიმრების საფუძვლები ეროვნული სასამართლოების მიერ მკაცრად იქნეს დაცული, რადგან სხვაგვარად დაპატიმრება არ იქნება „მართლზომიერი“. მაშასადამე, უნდა მოხდეს თვითნებობის კონტროლი. პირის დაპატიმრებისათვის, მართალია, აუცილებელია დანაშაულის ჩადენის „დასაბუთებული ვარაუდი“ (პირველი პირობა), მაგრამ გამოძიების პატიმრობა იქნება შეუსაბამო, თუ იგი მხოლოდ დანაშაულის ჩადენის „დასაბუთებულ ვარაუდს“ დაეფუძნება, დაპატიმრების სხვა დამატებითი საფუძვლის გარეშე“³⁴.

3. სამართალდარღვევა კონვენციის მე-5 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე

სამართალდარღვევის განმარტებისას, აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ის, რომ სამართალდარღვევა გათვალისწინებული იყოს ეროვნული კანონმდებლობით. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით, ტერმინს „სამართალდარღვევა“ ავტონომიური მნიშვნელობა გააჩნია და კონვენციის მე-6 მუხლში გამოყენებული „სისხლის სამართლის დანაშაულის“ იდენტურია. იგი დამოკიდებულია არა მხოლოდ ეროვნული კანონმდებლობით სამართალდარღვევის კლასიფიცირებაზე, არამედ, ასევე „სამართალდარღვევის ბუნებაზე“ და სასჯელის სისასტიკის ხარისხზე³⁵. ევროპული სასამართლო ასევე, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პროცესის ხასიათს და შინაარსს³⁶. „სამართალდარღვევა“ უნდა იყოს კონკრეტული: სახელმწიფოს მიერ დანაშაულისაკენ მიდრეკილად აღქმული პირის პრევენციული მიზნით დაპატიმრება დაუშვებელია³⁷. ეროვნული სისხლის სამართლის გამოყენება ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია კონვენციის მე-5 მუხლთან შეუსაბამოდ და თვითნებურად განხორციელებულად ჩაითვალოს.

4. განმარტებადი პატიმრობის საფუძვლები

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით, დადგენილია ოთხი გარემოება, რომელთა დროსაც შესაძლებელია აღკვეთის ღონისძიების სახით პირისათვის წინასწარი პატიმრობის გამოყენება და გაგრძელება, როდესაც კვლავ არსებობს მის მიერ

33 Human Rights in the Administration of Justice: A Manual on Human Rights for Judges, Prosecutors and Lawyers, UNITED NATIONS, New York and Geneva, 2003. p. 174.

34 ბურდული ი., გოცირიძე ე., ერქვანია თ., ზოიძე ბ., იზორია ლ., კობახიძე ი., ლორია ა., მაჭარაძე ზ., ტურავა მ., ფირცხალაშვილი ა., ფუტყარაძე ა., ქანთარია ბ., წერეთელი დ., ჯორბენაძე ს., 2013. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., გვ. 139.

35 S., V. and A. v .Denmark, 35553/12, 36678/12 and 36711/12, 22 ოქტომბერი, 2018.

36 ბენჰამი (Benham) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 19380/92, 10 ივნისი, 1996, 56.

37 შიმოვოლოს (Shimovolos) რუსეთის წინააღმდეგ, 30194/09, 21 ივნისი, 2011, 54.

დანაშაულის ჩადენის გონივრული ეჭვი³⁸. ეს გარემოებებია: მიმალვის საფრთხე, ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე, მართლმსაჯულების განხორციელებაში ჩარევის საფრთხე და საჯარო წესრიგისათვის საფრთხის შექმნა³⁹.

აღნიშნული საფრთხეები სათანადოდ უნდა დასაბუთდეს და შესაბამისი ორგანოების მსჯელობა არ უნდა იყოს ზოგადი, აბსტრაქტული და სტერეოტიპული ხასიათის⁴⁰. დაპატიმრების საფუძვლები უნდა იყოს რელევანტური და საკმარისი⁴¹. განგრობადი პატიმრობა რელევანტურია იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ნამდვილი საჯარო ინტერესი, რომელიც, მიუხედავად უდანაშაულობის პრეზუმპციისა, გადაწონის ინდივიდის თავისუფლებას⁴². პატიმრობის გამოყენებისას არაადეკვატური საფუძვლის მითითება ან სასამართლოს მხრიდან სტერეოტიპული განმარტებები კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტს ეწინააღმდეგება⁴³.

სსსკ-ის 206-ე მუხლი დეტალურად აწესრიგებს აღკვეთის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით შუამდგომლობის დასაშვებობის წინაპირობებს და სასამართლოს უნებს შუამდგომლობის დასაბუთებულობისა და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების როგორც ფორმალური (საპროცესო), ისე ფაქტობრივი საფუძვლების შემოწმების ვალდებულებას. სსსკ-ის 206-ე მუხლივე, სასამართლოს აკისრებს ვალდებულებას, დაასაბუთოს კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ განჩინება, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს მტკიცებუ-

ლებებს, რომელზე დაყრდნობითაც მოსამართლე დარწმუნდა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შეცვლის ან გაუქმების აუცილებლობაში. ამ ნაწილში სსსკ-ის 206-ე მუხლი შეესაბამება კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებს.

სსსკ-ის 206-ე მუხლის თანახმად, დაცვის მხარის მიერ აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების თაობაზე შუამდგომლობით სასამართლოსთვის მიმართვას ნებისმიერ დროს ითვალისწინებს, მაგრამ იმ პირობით, რომ გამოვლენილია რაიმე ახალი გარემოება აღკვეთის ღონისძიების გადასასინჯად. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი დაცვის მხარის მიერ ახალი გარემოების წარდგენის გარეშე აღკვეთის ღონისძიების გადასინჯვას არ ითვალისწინებს, რაც ხშირად, ილოზურულს ხდის დაცვის მხარის მიერ დაყენებული შუამდგომლობის შედეგად, აღკვეთის ღონისძიების გადასინჯვის შესაძლებლობას.

4.1 მიმალვის საფრთხე

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კრძალავს ისეთ მიდგომას, როცა წინასწარი პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება, დასაბუთებულია მიმალვის საფრთხის არსებობით ისე, რომ მიმალვის საფრთხე გამართლებულია ბრალდების სიმძიმითა და შესაძლო სასჯელის სიმკაცრით. ბრალდების სიმძიმე და შესაბამისად, შესაძლო მკაცრი სასჯელი, რელევანტური გარემოებაა, მაგრამ არ არის საკმარისი, რომ დაასაბუთოს პირის მიერ მიმალვის საფრთხე. აქედან გამომდინარე, ევროპული სასამართლო ადგენს, რომ ასეთ შემთხვევებში, პირის პატიმრობაში ყოფნა არ არის გამართლებული და კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტს ეწინააღმდეგება⁴⁴.

არ არსებობს პირის მიმალვის საფრთხის დამდგენი ზოგადი კრიტერიუმები⁴⁵.

38 პირის წინააღმდეგ წარმომებული საქმის სირთულე შესაძლებელია მხედველობაში იქნას მიღებული, მაგრამ თავისთავად მხოლოდ ეს პატიმრობის ვადის გაგრძელებისთვის საკმარისი არ არის.

39 ბუზაჯი (Buzadji) მოლდოვას წინააღმდეგ, 23755/07, 5 ივლისი, 2016, 88; ფირუზიანი (Piruzyan) სომხეთის წინააღმდეგ, 33376/07, 26 სექტემბერი, 2012, 94.

40 მერაბიშვილი (Merabishvili) საქართველოს წინააღმდეგ, 72508/13, 28 ნოემბერი, 2017, 222.

41 ნედიმ სენერი (Nedim Sener) თურქეთის წინააღმდეგ, 38270/11, 8 ივლისი, 2014, 113.

42 W v. შვეიცარიის წინააღმდეგ, 14379/88, 26 იანვარი, 1993, 30.

43 ხოდორკოვსკი (Khodorkovsky) რუსეთის წინააღმდეგ, 5829/04, 31 მაისი, 2011, 193.

44 მიხალჩუკი (Mikhailchuk) რუსეთის წინააღმდეგ, 33803/04, 23 აპრილი, 2015, 53-59.

45 ლეტელიერი (Letellier) საფრანგეთის წინააღმდეგ, 12369/86, 26 ივნისი, 1991, 83.

მიმალვის საფრთხე უნდა შეფასდეს კუმულაციურ ფაქტორებთან ერთად, რომლებითაც ან დადასტურდება მიმალვის საფრთხის არსებობა ან ეს საფრთხე იმდენად უმნიშვნელო იქნება, რომ ვერ დასაბუთდება წინასწარი პატიმრობის გამოყენების აუცილებლობა⁴⁶.

მიმალვის საფრთხე უნდა შეფასდეს იმ ფაქტორების ქრილში, რომლებიც ბრალდებულის პიროვნებას, მის მორალს, ადგილსაცხოვრებელს, საქმიანობას, ქონებას, ოჯახს და საერთაშორისო კონტაქტებს უკავშირდება. აგრეთვე, ყველა იმ გარემოებას, რომელიც პირს სისხლის სამართლებრივი დევნის ქვეყანასთან აკავშირებს⁴⁷. მაგრამ ცალკე აღებული არც ერთი გარემოების არსებობა, თავისთავად, არ ამართლებს პატიმრობის გამოყენებას. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საფრთხე მთლიანობაში უნდა შეფასდეს და გაანალიზებულ იქნას, თუ რამდენად იძლევა თითოეული ასეთი გარემოება პირის მიმალვის ვარაუდის საფუძველს⁴⁸. შესაბამისი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც ყოველგვარი განმარტების გარეშე შაბლონური და სტერეოტიპული არგუმენტაციით ასაბუთებს მიმალვის საფრთხის არსებობას, კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტს ეწინააღმდეგება⁴⁹.

მყარი საცხოვრებელი ადგილის არქონა თავისთავად არ ქმნის მიმალვის საფრთხეს⁵⁰. მიმალვის საფრთხე იკლებს პატიმრობაში ყოფნის ხანგრძლივობასთან ერთად⁵¹. როდესაც არსებობს მხოლოდ მიმალვის და სასამართლო პროცესზე არ გამოცხადების საფრთხე, დაპატიმრებული პირი უნდა გათავისუფლდეს წინასწარი პა-

ტიმრობისგან, თუ შესაძლებელია სასამართლო პროცესზე პირის გამოსაცხადების უზრუნველყოფა სხვა ნაკლებადშემზღვევლი საშუალებით⁵². იმავედროულად აუცილებელია თანაბომიერების პრინციპის დაცვა. პატიმრობის ნაცვლად უფრო მსუბუქი ალკვეთის ღონისძიებების გამოყენების შემთხვევაში, სასამართლოში გამოცხადების და სათანადო ქცევის უზრუნველყოფი ღონისძიებები უნდა იყოს რეალისტური და შესრულებადი. იგი არ უნდა იყოს იმდენად რთული და დაუძლეველი, რომ თავისუფლების შეზღუდვისგან გათავისუფლების ძირითადი აზრი დაიკარგოს⁵³.

საქმეზე – Ahmet Ozkan and others v. Turkey, ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ალი ერბეკს ბრალი ედებოდა ტერორიზმში და საქმეზე მის წინააღმდეგ მყარი მტკიცებულებები არსებობდა, დიარბაქირის სახელმწიფო უშიშროების სასამართლოს მიერ პატიმრობის გახანგრძლივების საფუძველად მხოლოდ ბრალდების სიძიმე და მყარი მტკიცებულებები იყო მითითებული, რაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს აზრით, განგრძობად პატიმრობას არ ამართლებდა. აღნიშნულ საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევა დადგინდა.⁵⁴

საქმეზე – Lelievre v. Belgium ევროპულმა სასამართლოებმა პირს პატიმრობას შეუფარდეს იმ საფუძველით, რომ მას ბრალად ედებოდა მძიმე დანაშაულების ჩადენა. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ დანაშაულის სიმძიმის გამო მაღალი იყო პირის მიმალვის რისკი. ამ საფუძველით ევროპულმა სასამართლომ არც კი განიხილა ალკვეთის ღონისძიების ალტერნატიული სახის გამოყენების საკითხი, რაც ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევად მიიჩნია⁵⁵.

46 პანჩენკო (Panchenko) რუსეთის წინააღმდეგ, 45100/98, 8 მაისი, 2005, 106; მანსური (Mansur) თურქეთის წინააღმდეგ, 16026/90, 8 ივნისი, 1995, 55.
47 ბეჩიევი (Becciev) მოლდოვას რესპუბლიკის წინააღმდეგ, 9190/03, 4 ოქტომბერი, 2005, 58.
48 ლეტელიერი (Letellier) საფრანგეთის წინააღმდეგ, 12369/86, 26 ივნისი, 1991, 83.
49 იაბლონსკი (Jablonski) პოლონეთის წინააღმდეგ, 33492/96, 21 დეკემბერი, 2000, 63.
50 სულაოჯა (Sulaoja) ესტონეთის წინააღმდეგ, 55939/00, 15 თებერვალი, 2005, 64.
51 ნოიმაისტერი (Neumeister) ავსტრიის წინააღმდეგ, 1936/63, 27 ივნისი, 1968, 10.

52 მერაბიშვილი (Merabishvili) საქართველოს წინააღმდეგ, 72508/13, 28 ნოემბერი, 2017, 223.
53 ტზასკა (Trzaska) პოლონეთის წინააღმდეგ, 25792/94, 11 ივლისი, 2000, 223.
54 აჰმეტ ოსკანი (Ahmet Ozkan) თურქეთის წინააღმდეგ, 21689/93, 6 აპრილი, 397-398
55 ლელიერე (Lelievre) ბელგიის წინააღმდეგ, 11287/03, 8 ნოემბერი, 2007.

კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი არ შეიძლება ისე იქნეს აღქმული, თითქოს იგი უშვებდეს პატიმრობას, იმ პირობით, თუ მისი ხანგრძლივობა გარკვეულ პერიოდზე მეტხანს არ გაგრძელდა. სასამართლო ხელისუფლებამ დამატებულად უნდა გაამართლოს პატიმრობის ნებისმიერი პერიოდი, რაც არ უნდა ხანმოკლე იყოს იგი.⁵⁶

საქმეზე – *Kostadinov v. Bulgaria*, სადაც პირს ბრალად ედებოდა ძარცვა დამამძიმებელ გარემოებებში, მხოლოდ ბრალდების სიმძიმის საფუძველზე ბრალდებულის წინასწარი პატიმრობა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევად იქნა მიჩნეული⁵⁷.

4.2 მართლმსაჯულების განხორციელებაში ჩარევის საფრთხე

მართლმსაჯულების განხორციელებაში ჩარევის საფრთხე პატიმრობის გამოყენების ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებადი საფუძველია. საფრთხე შეიძლება გამოვლინდეს მოწმეზე ზემოქმედებაში, მტკიცებულებების განადგურებაში და სხვა ქმედებებში.

მართლმსაჯულების განხორციელებაში ჩარევის საფრთხე არ უნდა შეფასდეს მოსალოდენელი მკაცრი სასჯელის ქრილში, არ უნდა დაეფუძნოს აბსტრაქტულ საფუძვლებს და ინტუიტიურ ვარაუდებს. იგი უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტული საფრთხის დამადასტურებელ ფაქტებს და მტკიცებულებებს⁵⁸. მართლმსაჯულების განხორციელებაში ჩარევის საფრთხე არ შეიძლება დადგინდეს იქნას დაუსაბუთებელი განცხადებების საფუძველზე⁵⁹.

საქმეზე – *Merabishvili v. Georgia*, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ შემდგომში განმცხადებლის მიერ წინასწარი

პატიმრობის გაგრძელების საჭიროება საქართველოს ეროვნული სასამართლოების მიერ არ იქნა სათანადოდ დასაბუთებული. კერძოდ, წინასწარი პატიმრობის გამოყენებიდან 4 თვის გასვლის შემდგომ თბილისის საქალაქო სასამართლომ არ დაასაბუთა წინასწარი პატიმრობის გაგრძელების საჭიროება და განმარტებების გარეშე უთხრა უარი აპლიკანტს წინასწარი პატიმრობის გირაოთი შეცვლაზე. ამ კუთხით სასამართლომ კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევა დაადგინა⁶⁰.

გამოძიების საწყის ეტაპზე, მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ბრალდებულის მიერ ხელის შეშლის საფრთხემ შესაძლოა გაამართლოს პირის პატიმრობაში ყოფნა. თუმცა, მას შემდეგ, რაც ყველა საგამოძიებო მოქმედება დასრულებულია, მტკიცებულებები შეგროვებულია, მოწმეები დაკითხულნი არიან, ეს საფუძველი არარელევანტური ხდება და ძნელია საუბარი მოწმეებზე ზემოქმედების თავიდან აცილების საფუძველით დაპატიმრების გამოყენებაზე⁶¹.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – *Aleksandr Makarov v. Russia* იმსჯელა ყოფილი თანამდებობის პირის მიერ თავისი სამსახურებრივი გავლენით მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელის შეშლის საფრთხის შეფასებაზე. ევროპული სასამართლომ მიერ მნიშვნელოვნად იქნა მიჩნეული ის ფაქტი, რომ მაკაროვი წინასწარი პატიმრობის შეფარდების მომენტისთვის აღარ იყო ქ.ტომსკის მერი და მოწმეებზე ზეგავლენის მოხდენის თვალსაზრისით საკმარისად არ იქნა მიჩნეული ის ფაქტი, რომ განმცხადებელი, როგორც ყოფილი მერი ზეგავლენას მოახდენდა მისდამი დაქვემდებარებაში მყოფ მოწმეებზე.⁶²

საქმეზე – *Mikiashvili v. Georgia*, საქმეზე,

56 ბელჩევი (Belchev) ბულგარეთის წინააღმდეგ, 39270/98, 8 აპრილი, 2004, 82.

57 კოსტადინოვი (Kostadinov) ბულგარეთის წინააღმდეგ, 55712/00, 7 თებერვალი, 2008, 78-80.

58 მერაბიშვილი (Merabishvili) საქართველოს წინააღმდეგ, 72508/13, 28 ნოემბერი, 2017, 224.

59 ფაცურია (Patsuria) საქართველოს წინააღმდეგ, 30779/04, 6 ნოემბერი, 2007, 71

60 მერაბიშვილი (Merabishvili) საქართველოს წინააღმდეგ, 72508/13, 14 ივნისი, 2016, 89-92.

61 ევგენი გუსევი (Yevgeniy Gusev) რუსეთის წინააღმდეგ, 28020/05, 5 დეკემბერი, 2013, 87.

62 ალექსანდრე მაკაროვი (Aleksandr Makarov) რუსეთის წინააღმდეგ, 15217/07, 12 მარტი, 2009, 129-130.

განმცხადებელი სამართალდამცავ ორგანოებთან ფიზიკური დაპირისპირების ფაქტზე იქნა დაკავებული, რის გამოც სასამართლომ წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გაიზიარა შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ გათავისუფლების შემთხვევაში, განმცხადებელს შეეძლო ზემოქმედება თავის მეგობრებზე, რომლებიც განმცხადებლის მიერ სავარაუდო დანაშაულის ჩადენას შეესწრნენ. ევროპული სასამართლოს აზრით, მსგავსი გარემოებების დროს, განმცხადებლის მიერ მოწმეებზე ზემოქმედების შესაძლებლობა არ შეიძლება, რომ გამოირიცხოს და შესაბამისად, აღნიშნული საფრთხე რეალური იყო. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოს არგუმენტი მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხის თაობაზე, ამართლებდა პირის პატიმრობაში ყოფნას პირველი სამი თვის განმავლობაში და შესაბამისად, ადგილი არ ჰქონდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5.3 მუხლის დარღვევას⁶³.

რისკი, რომელმაც შესაძლოა მოწმეთა ჩვენებებში ცვლილებები გამოიწვიოს, შესაძლებელია გახდეს ბრალდებულის გათავისუფლებაზე უარის თქმის საფუძველი. თუმცა, დროის გასვლასთან ერთად, მოწმეთა არაერთი დაკითხვის შემდეგ, მოწმეებზე ზემოქმედების რისკი შესაძლოა შემცირდეს და შემდგომში საერთოდ გაქრეს⁶⁴.

შურისძიების შიში, ხშირად შეიძლება საკმარისი იყოს დაშინებული მოწმეებისთვის, რომ საერთოდ უარი თქვან სისხლისსამართლწარმოებაში მონაწილეობაზე. ანგარიშგასაწევია იმ მოწმეთა უსაფრთხოება, რომლებმაც უკვე მისცეს ჩვენებები განმცხადებლის წინააღმდეგ, აგრეთვე სხვა მოწმეების სურვილი მომავალში მისცენ ჩვენება. სასამართლომ ამ

ფაქტორებსა და ბრალდებულის უფლებას შორის წონასწორობა უნდა დაიცვას⁶⁵.

4.3 ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე

აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობის გამოყენების ერთ-ერთ საფუძველს ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე წარმოადგენს. ამ საფრთხის შეფასებისას, მნიშვნელოვანია, სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებები ბრალდებულის მიერ დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელებას ნათლად მიანიშნებდეს. კონვენციის მე-5 მუხლის სტანდარტი გულისხმობს, რომ პატიმრობის შესაფარდებლად საჭიროა ახალი დანაშაულის ჩადენის მომასწავებელი ისეთი უტყუარი გარემოებების წარმოდგენა, რომელთა მიხედვითაც დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების აღკვეთა მხოლოდ პატიმრობით იქნება შესაძლებელი. ის მოსაზრება, რომ დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების აღკვეთა მხოლოდ პატიმრობით არის შესაძლებელი, შეუთავსებელია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან⁶⁶.

ძალადობრივი დანაშაულის ჩადენა თავისთავად არ წარმოადგენს უტყუარ გარემოებას, რომ პირი ახალ დანაშაულს ჩაიდენს. დანაშაულის ბუნებაზე მითითება აბსტრაქტულია და ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეს არ ამართლებს. მსგავსი დაშვებისას, მტკიცების ტვირთის შებრუნება ხდება და ბრალდებულს უწევს ამტკიცოს მისი გათავისუფლების სასარგებლოდ არსებული მიზეზების თაობაზე, რაც შეუთავსებელია კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის სტანდარტთან⁶⁷.

ბრალად შერაცხული დანაშაულის საფუძველზე ახალი დანაშაულის ჩადენისა

63 მიქიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (Mikiashvili v. Georgia), 18996/06, 9 იანვარი, 2013, 104.
 64 ლეტელიერი (Letellier) საფრანგეთის წინააღმდეგ, 12369/86, 26 ივნისი, 1991, 83.

65 სოპინი (Sopin) რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ, 57319/10, 18 დეკემბერი, 2012, 44.
 66 დრაგინი (Dragin) ხორვატიის წინააღმდეგ, 75068/12, 24 ივლისი, 2014, 114.
 67 ბიკოვი (Bykov) რუსეთის წინააღმდეგ, 4378/02, 10 მარტი, 2009, 64.

და მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელის შეშლის რისკებზე მსჯელობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის აბსტრაქტულ ხასიათს ატარებს და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით მოთხოვნილი დასაბუთებული პატიმრობის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს⁶⁸.

ევროპული სასამართლო ბრალად წარდგენილი ქმედების სიმძიმეს და ძალადობრივ ხასიათს მნიშვნელობას ანიჭებს დაკავების სტადიაზე⁶⁹. ამასთან, როდესაც გირაო ავტომატურად გამორიცხულია გარკვეული კატეგორიის დანაშაულებთან მიმართებაში და პატიმრობა უპირობოდ უნდა იქნეს შეფარდებული, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს მე-5.3 მუხლის დარღვევას.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს არაერთ საქმეზე აქვს ნამსჯელი იმასთან დაკავშირებით, გათვალისწინებულ უნდა იქნას თუ არა ნასამართლობა აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობის შეფარდებისას. დანაშაულის ხელახლა ჩადენასთან დაკავშირებით პირის წარსულ ცხოვრებაზე მითითება საკმარისი არ არის განთავისუფლებაზე უარის სათქმელად⁷⁰.

ნასამართლობის გათვალისწინების კუთხით, ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხესთან მიმართებით, გასათვალისწინებ-

ბელი და შესაფასებელია ის, თუ რამდენად შეიძლება ადრე ჩადენილი დანაშაულების შედარება ახალ ბრალდებასთან სიმძიმისა და ხასიათის მიხედვით⁷¹.

რიგ შემთხვევებში, საქმის ერთი კონკრეტული გარემოება შესაბამისია აღკვეთის ღონისძიების რამდენიმე საფუძველთან მიმართებაში და შეუძლებელია მსჯელობისას ამ გარემოებების ცალ-ცალკე განხილვა. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია გაანალიზდეს, რამდენად დასაბუთებს დანაშაულის ორგანიზებული ხასიათი როგორც მოწმეებზე ზემოქმედებისა და მტკიცებულებების განადგურების საფრთხეს, ისე ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეს.

„ორგანიზებული დანაშაულის ჩადენის დასაბუთებული ვარაუდის არსებობისას, პროცესის მწარმოებელ ორგანოებს წინ მნიშვნელოვანი სირთულეები ელოებათ სხვადასხვა წყაროებიდან მტკიცებულებების მოპოვებაში, ფაქტების დადგენასა და ჭკუფის სხვადასხვა წევრის პასუხისმგებლობის ხარისხის განსაზღვრაში. ასეთ შემთხვევებში, ბრალდებულების ერთმანეთთან და სხვა პირებთან კონტაქტზე განუწყვეტლივ ზედამხედველობასა და შეზღუდვას შეიძლება არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს მათი მიმალვის, მტკიცებულებების განადგურება/ფაბრიკაციის და რაც მთავარია, მოწმეებზე ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად“⁷². „აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებისთვის საკმარისი არ არის ის ფაქტი, რომ პირმა ორგანიზებული დანაშაული ჩაიდინა. ამ შემთხვევაში, სასამართლომ ასევე, უნდა გაითვალისწინოს ბრალდებულის ქცევა და პირადი ხასიათის სხვა გარემოებები“⁷³.

4.4. საჯარო წესრიგის დაცვა

„საჯარო წესრიგის უზრუნველყოფის მიზნით, პირის მიმართ პატიმრობის გამო-

68 A.B. უნგრეთის წინააღმდეგ, 33292/09, 16 აპრილი, 2013, 23-26; ლაკატოში და სხვები (Lakatos and others) სერბეთის წინააღმდეგ, 3363/08, 7 იანვარი, 2014, 97.

69 მაგალითად, მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში (ამიროვი რუსეთის წინააღმდეგ (Amirov v. Russia), განაცხადი no. 51857/13, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 104); ადამიანის მოტაცება, გამოსასყიდის მიღების მიზნით (არტემოვი რუსეთის წინააღმდეგ (Artemov v. Russia), განაცხადი no. 14945/03, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილების პუნქტი 73); ადამიანის მოტაცება, ჩადენილი არაერთგზის, ჭკუფის მიერ, დამამძიმებელ გარემოებებში (ხლოიევი რუსეთის წინააღმდეგ (Khloyev v. Russia), განაცხადი no. 46404/13, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილების პუნქტი 98) და სხვ.

70 მიულერი (Muller) საფრანგეთის წინააღმდეგ, 21802/93, 17 მარტი, 1997.

71 ტრიფკოვიჩი (Trifkovic) ხორვატიის წინააღმდეგ, 36653/09, 6 ნოემბერი, 2012, 126.

72 მიერზეიევსკი (Mierzejewski) პოლონეთის წინააღმდეგ, 15612/13, 24 თებერვალი, 2015, 42.

73 ალექსეი მაკაროვი (Aleksey Makarov) რუსეთის წინააღმდეგ, 3223/07, 12 ივნისი, 2008, 50.

ყენება, თავისუფლების შეზღუდვის ერთ-ერთი ყველაზე კონტრავერსიული საფუძველია⁷⁴. ცალკეული კატეგორიის დანაშაულს მისი სიმძიმეიდან და მასზე საზოგადოების რეაქციიდან გამომდინარე, შეუძლია გამოიწვიოს საზოგადოებრივი არეულობა და წესრიგის დარღვევა, რამაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში, შესაძლებელია წინასწარი პატიმრობის გამოყენება გაამართლოს⁷⁵. აღნიშნული მოტივი საკმარისად მიიჩნევა, თუ იგი ემყარება ფაქტებს, რომლებიც ადასტურებენ, რომ გათავისუფლებას შეუძლია ნამდვილად გამოიწვიოს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა და საფრთხეც რეალურია⁷⁶.

საფრთხე არ შეიძლება ეფუძნებოდეს არც მხოლოდ წაყენებული ბრალდების და არც მოსალოდნელი სასჯელის სიმკაცრეს. იგი არ უნდა შეფასდეს აბსტრაქტულად. აუცილებელია, დასაბუთებული იყოს ის, რომ საფრთხის თავიდან აცილების უზრუნველყოფა შეუძლებელია აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების გარდა სხვა საფუძვლით. საფრთხის რეალურობის შეფასებისას, გათვალისწინებულ უნდა იქნას ისეთი ფაქტორები როგორცაა, დანაშაულის ბუნება, მისი ჩადენის გარემოებები, ბრალდებულისა და დაზარალებულის ფსიქოლოგიური მდგომარეობა და სხვა. საფრთხის შეფასებისას, აუცილებელია, განისაზღვროს საფრთხის ხასიათი და ხარისხი. ერთი და იგივე ქმედებიდან გამომდინარე, საფრთხე შესაძლებელია სხვადასხვაგვარად იქნას

აღქმული სხვადასხვა ეთნიკურ თუ რელიგიურ ჯგუფებში და საზოგადოების სხვადასხვა ფენებში⁷⁷.

საჯარო წესრიგის უზრუნველყოფის მიზანი განსაკუთრებით რელევანტურია ადამიანის ფუნდამენტური უფლებების მასობრივად დარღვევისას, როგორცაა, მაგალითად, ომის დანაშაული სამოქალაქო პირთა წინააღმდეგ და სხვა⁷⁸.

5. აღკვეთის ღონისძიების აღმერთნატიული ზომების გამოყენება

აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას, რელევანტური ორგანოები ვალდებული არიან განიხილონ ალტერნატიული ზომები, რაც დაკავებული პირის სასამართლოში გამოცხადებას უზრუნველყოფს⁷⁹. აღნიშნული დებულება გულისხმობს არა მხოლოდ გონივრულ ვადაში გასამართლებას ან დაკავებულის გათავისუფლებას, არამედ, ასევე, იმასაც, რომ დაკავებულის გათავისუფლება შესაძლებელია პირობადადებული იყოს სასამართლოში მისი გამოცხადების უზრუნველყოფით⁸⁰.

5.1 გირაოს გამოყენების წინაპირობები

ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი გარანტირებს უფლებას გირაოზე და საქმის განხილვის განმავლობაში გირაოს შეფარდების სასარგებლოდ იხრება. რაც უფრო ჭიანურდება სასამართლო განხილვა, ევროპული სასამართლო გირაოს გამოყენების მოთხოვნას მით უფრო მხარს უჭერს.

74 Lonneke L., 2009. (May), Pre-Trial Detention: The Presumption of Innocence and Article 5 of the European Convention on Human Rights Cannot and Does Not Limit its Increasing Use, European Journal of Crime, Criminal Law and Criminal Justice 17(2), p.177, https://www.researchgate.net/publication/228295001_Pre-Trial_Detention_The_Presumption_of_Innocence_and_Article_5_of_the_European_Convention_on_Human_Rights_Cannot_and_Do_Not_Limit_its_Increasing_Use (21.03.2019).

75 Guide on Article 5 of the European Convention on Human Rights, Right to liberty and security, Updated on 31 December 2018. P. 37, https://www.echr.coe.int/Documents/Guide_Art_5_ENG.pdf

76 პრენციპე (Prencipe) მონაკოს წინააღმდეგ, 43376/06, 16 ოქტომბერი, 2009, 79.

77 Minimum standards for the Rights of the Accused During Arrest/ Detention– <http://www.arab-niaba.org/publications/hr/jordan2/eric2-e.pdf>, 1.

78 მილანკოვიჩი და ბოსნაკი (Milankovic and Bosnak) ხორვატიის წინააღმდეგ, 37762/12; 23530/13, 12 სექტემბერი, 2016, 154.

79 იდალოვი (Idalov) რუსეთის წინააღმდეგ, 5826/03, 22 მაისი, 2012, 140.

80 ლელივრე (Lelievre) ბელგიის წინააღმდეგ, 11287/03, 31 მარტი, 2018, 97.

გირაოს საფუძველზე გათავისუფლებაზე უარის თქმა შესაძლებელია მხოლოდ ოთხი საფუძვლის არსებობისას: ეს არის მიმალვის საფრთხე, მართლმსაჯულების განხორციელებაში ჩარევის საფრთხე, დანაშაულის აღკვეთის და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის აუცილებლობა.

გირაოს მთავარი მიზანია უზრუნველყოს ბრალდებულის სასამართლო განხილვაზე გამოცხადება და მისი ოდენობა ასევე, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ მიზანს.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, საქმეზე – *Neumeister v. Austria*, რომელშიც სახელმწიფო ხელისუფლებამ გირაოს ოდენობა გამოითვალა მხოლოდ განმცხადებლისათვის შერაცხული ზიანის მიხედვით, კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტთან შეუსაბამოდ მიიჩნია. გირაოდ გარანტია უნდა უზრუნველყოფდეს არა ბრალდებულის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, არამედ მის დასწრებას საქმის განხილვაზე. გათავისუფლებისთვის მოთხოვნილი გარანტია არ შეიძლება ბრალდებულს იმაზე მეტ ტვირთს აკისრებდეს, რაც უსაფრთხოების გონივრული ხარისხით არის უზრუნველყოფილი.⁸¹ გირაოს თანხა არ უნდა იყოს შეუსაბამოდ მაღალი ოდენობის, რათა თავიდანვე არ შეიქმნას მოლოდინი იმისა, რომ ბრალდებული ვერ უზრუნველყოფს გირაოს გადახდას და ხელოვნურად გაუარესდეს მისი სამართლებრივი მდგომარეობა.

გირაოს ოდენობა უნდა განისაზღვროს იმის მიხედვით, თუ რა არის აუცილებელი სასამართლოში გამოცხადების უზრუნველსაყოფად და არა იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს კომპენსაციისთვის შესაძლო პასუხისმგებლობა⁸².

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – *Toshev v. Bulgaria*, განაცხადა, რომ როდესაც დადგენილია გირაოს თანხის გადახდის შეუძლებლობის

ფაქტი, დაუშვებელია, ბრალდებულის მიმართ ამ სახის აღკვეთის ღონისძიების გამოყენება. ტოშევის საქმეში ეროვნულმა სასამართლომ არ გამოიკვლია ბრალდებულის ფინანსური და ქონებრივი მდგომარეობა და არ შეისწავლა გირაოს ქონებით უზრუნველყოფის საკითხი. ბრალდებულს არ ჰქონდა სასამართლოს მიერ განსაზღვრული გირაოს გადახდის შესაძლებლობა. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ გირაოს გადაუხდელობის გამო ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნა, რომელსაც არაძალადობრივ დანაშაულში ედებოდა ბრალი, კონვენციის მე-5 მუხლის მიზნებს არ შეესაბამებოდა⁸³.

გირაოს ოდენობის განსაზღვრისას უნდა შეფასდეს პატიმრის ქონება და მისი ურთიერთობა იმ პირებთან, რომლებიც გირაოს იხდიან. სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ის, თუ რამდენად წარმოადგენს გირაოს თანხის დაკარგვას თავადები პირის მიმართ საქმის აღძვრა მისი გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მიმალვის სურვილის საკმარის შემაკავებელ ფაქტორს⁸⁴. შესაბამისად, ეროვნულმა სასამართლოებმა სათანადოდ უნდა დაასაბუთონ გირაოს კონკრეტული ოდენობის განსაზღვრის აუცილებლობა თავის გადაწყვეტილებებში⁸⁵ და მხედველობაში უნდა მიიღონ ბრალდებულის ფინანსური შესაძლებლობები გირაოს თანხის გადახდასთან დაკავშირებით⁸⁶. ის ფაქტი, რომ დაკავებული რჩება პატიმრობაში მას შემდეგ, რაც მას აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო შეეფარდება, მიანიშნებს იმაზე, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა სათანადოდ გულისყურით არ განსაზღვრეს გირაოს შესაბამისი ოდენობა⁸⁷.

ბრალდებულმა უნდა მიაწოდოს ეროვ-

81 კორკელია კ., მჭედლიძე ნ., ნალბანდოვი ა., 2003. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის და მისი ოქმების სტანდარტებთან, თბ., გვ. 100.

82 ივანჩუკი (Iwanczuk) პოლონეთის წინააღმდეგ, 25196/94, 15 ნოემბერი, 2001, 66.

83 ტოშევი (Toshev) ბულგარეთის წინააღმდეგ, 56308/00, 10 აგვისტო, 2006, 69-72

84 გაფა (Gafa) მალტის წინააღმდეგ, 54335/14, 8 ოქტომბერი, 2018, 70.

85 გორგიევა (Georgieva) ბულგარეთის წინააღმდეგ, 16085/02, 3 ოქტომბერი, 2008, 15, 30-31.

86 გაფა (Gafa) მალტის წინააღმდეგ, 54335/14, 8 ოქტომბერი, 2018, 70.

87 კოლაკოვიჩი (Kolakovic) მალტის წინააღმდეგ, 76392/12, 19 ივნისი, 2015, 72.

ნულ სასამართლოს ინფორმაცია თავისი ქონებრივი მდგომარეობის შესახებ, რომელიც საჭიროების შემთხვევაში შეიძლება გადამოწმდეს⁸⁸. შესაბამისად, განჩინებაში უნდა აისახოს, თუ რა თანხის ოდენობით შუამდგომლობს გირაოს გამოყენებას ბრალდებული და სასამართლოს დასაბუთება დიდი თანხის გირაოს ოდენობად განსაზღვრისას.

„ეროვნული სასამართლოები ისეთივე გულმოდგინებით უნდა მოეკიდონ გირაოს ოდენობის სათანადოდ განსაზღვრის საკითხს, როგორ პატიმრობის გაგრძელების აუცილებლობის საკითხის გადაწყვეტას“⁸⁹.

5.2 პატიმრობის ავტომატურად შეფარდება და საპატიმრო გირაო

„ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ ყველა ის შემთხვევა, როცა პირს პატიმრობა ავტომატურად ეფარდება, მე-5.3 მუხლთან შეუთავსებელია. ასეთი პატიმრობა დაუსაბუთებელია, რადგან მხოლოდ კანონის ნორმის ან ჩამოყალიბებული პრაქტიკის საფუძველზე ეფარდება. ასეთ შემთხვევებში, პირს დაუსაბუთებლად ერთმევა უფლება მე-5.3. მუხლით უზრუნველყოფილ გარანტიებზე – იქნეს გათავისუფლებული მისი საქმის განხილვის განმავლობაში“⁹⁰.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – Caballero v. The United Kingdom⁹¹ იმსჯელა პატიმრობის ავტომატურად შეფარდების შესაბამისობაზე ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მიზნებთან. პირს, რომელსაც ბრალი ედებათ გაუპატიურებაში, უარი ეთქვა

გირაოზე კანონის საფუძველზე, რომელიც გირაოს კრძალავდა გირაოს დანიშვნას იმ პირთა მიმართ, რომელთაც ბრალი ედებოდათ განზრახ მკვლელობაში, განზრახი მკვლელობის მცდელობაში, გაუფრთხილებელ მკვლელობაში, გაუპატიურებასა და გაუპატიურების მცდელობაში. ევროპული სასამართლოს წინაშე მოპასუხე სახელმწიფომ აღიარა, რომ კანონმდებლობის აღნიშნული ნორმა ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-5.3 მუხლს.

ევროპულმა სასამართლომ პატიმრობის ავტომატურად შეფარდების შესაბამისობაზე კონვენციის 5.3 მუხლის მოთხოვნებთან იმსჯელა საქმეზე – Labita v. Italy⁹². კერძოდ, იტალიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებდა, რომ პატიმრობის შეფარდების აუცილებლობის სამართლებრივი პრეზუმპცია არსებობდა, როდესაც პირს მაფიის მსგავსი ორგანიზაციის წევრობა ედებოდა ბრალად. მითითებულ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ პატიმრობის საფუძველად მხოლოდ დანაშაულზე აბსტრაქტული მითითება და ის, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა არ მიუთითეს არანაირ კონკრეტულ გარემოებაზე, რომელიც განმცხადებლის მხრიდან მომდინარე საფრთხეზე მეტყველებდა, კონვენციის 5.3. მუხლის მოთხოვნებს ეწინააღმდეგებოდა.

ავტომატური პატიმრობის გამოყენების ნებისმიერი სისტემა თავისთავად ხელყოფს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5.3 მუხლის მოთხოვნებს⁹³.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – Piruzyan v. Armenia, განმარტა, რომ გირაოს შეფარდებაზე კანონმდებლობით განსაზღვრული ავტომატური უარი სასამართლო კონტროლის მექანიზმის გარეშე, კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დებულებებთან შეუთავსებელია⁹⁴. ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-3

88 Leach P., 2017. Taking a Case to the European Court of Human Rights, Fourth Edition, p. 328.
89 ტოშევი (Toshev) ბულგარეთის წინააღმდეგ, 56308/00, 10 აგვისტო, 2006, 68.
90 მჭედლიძე ნ., 2017. საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები, თბ., გვ. 90-91.
91 კლაივ კაბალერო (Clive Caballero) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 32819/96, 8 თებერვალი, 2000, 20-21.

92 ლაბიტა (Labita) იტალიის წინააღმდეგ, 26772/95, 6 აპრილი, 2000, 163-165.
93 ილიკოვი (Ilijkov) ბულგარეთის წინააღმდეგ, 33977/96, 26 ივლისი, 2000, 56-59.
94 ფირუზიანი (Piruzyan) სომხეთის წინააღმდეგ, 33376/07, 26 სექტემბერი, 2012, 105.

პუნქტი, ეროვნულ ორგანოებს აკისრებს ვალდებულებას, განაკუთრებული გულისყურით წარმართონ სასამართლო პროცესები მას შემდეგაც, რაც დაკავებულს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო, თუმცა, იგი რჩება პატიმრობაში, რადგან არ შეუძლია გირაოს თანხის გადახდა⁹⁵.

საპატიმრო გირაოს გამოყენებასთან დაკავშირებით, კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტთან შეესაბამება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილი, რომლის თანახმადაც „სასამართლო პროკურორის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით, გირაოს გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობას უფარდებს ბრალდებულს, რომლის მიმართაც გამოყენებულია დაკავება სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების სახით, მის მიერ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე გირაოს სრულად ან ნაწილობრივ (მაგრამ არანაკლებ 50%-ისა) შეტანამდე. გირაოს შეტანას ადასტურებს სასამართლო ან პროკურორი“.

„აღნიშნული ნორმის თანახმად, ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებული დაკავებულია და სასამართლომ გადაწყვიტა გირაოს გამოყენება, ეს უკანასკნელი უზრუნველყოფილია პატიმრობით. სსსკ-ის მე-200 მუხლის მე-6 პუნქტი უშვებს პატიმრობის ავტომატური შეფარდების შესაძლებლობას, რაც კონვენციის მე-5 მუხლის მოთხოვნებს ეწინააღმდეგება.“

თავად ნორმატიულ დონეზეა გათვალისწინებული დაკავებული პირის შემთხვევაში მიმალვის, ახალი დანაშაულის ჩადენისა და მართლმსაჯულების განხორციელებაში ჩარევის მომეტებული რისკები, რითაც განპირობებულია დაკავებული პირის მიმართ გირაოს პატიმრობით უზრუნ-

ველყოფა. კონკრეტულ ბრალდებულთან მიმართებით კონკრეტული ფაქტების განხილვის შეუძლებლობის პირობებში, კანონმდებლობა ვერასოდეს გაითვალისწინებს აღნიშნულ საფრთხეებს იმდაგვარად, რომ ეს პირები დაცულნი იქნენ თავისუფლების თვითნებური შეზღუდვის რისკისგან კონვენციის მე-5.3 მუხლის შესაბამისად.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილი ითვალისწინებს პატიმრობის სასარგებლოდ კანონით გათვალისწინებულ პრეზუმციას, რაც გულისხმობს მტკიცების ტვირთის ბრალდებულზე გადატანას – ბრალდებულმა უნდა ამტკიცოს პატიმრობის მიზანშეუწონლობა. სადავო მუხლი არანაირ გამონაკლისს არ ითვალისწინებს დაკავებული პირის მიმართ შეფარდებული გირაოს პატიმრობით უზრუნველყოფიდან.

ამგვარად, დაკავებული პირის მიმართ გამოყენებული გირაოს პატიმრობით უზრუნველყოფისას ხელყოფილია კონვენციის მე-5.3 მუხლის მოთხოვნა, პატიმრობა იყოს დასაბუთებული⁹⁶.

დასკვნა

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკანონმდებლო რეგლამენტაციის ნაწილში ძირითადად კონვენციის მე-5 მუხლს შეესაბამება.

საკანონმდებლო დონეზე დეკლარირებულია პატიმრობის, როგორც „ერთადერთი საშუალების“ და უკიდურესი ღონისძიების გამოყენების წინაპირობები და ამომწურავი საფუძვლები. თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს სსსკ-ის 198-ე მუხლი, რომელიც ადგენს, რომ ბრალდებულს პატიმრობა არ შეიძლება შეეფარდოს, თუ დასახული ლეგიტიმური მიზნის მიღწევა შესაძლებელია სხვა, ნაკლებად

95 გაფა (Gafa) მალტის წინააღმდეგ, 54335/14, 8 ოქტომბერი, 2018, 71; კოლაკოვიჩი (Kolakovic) მალტის წინააღმდეგ, 76392/12, 19 ივნისი, 2015, 74.

96 მჭედლიძე ნ., 2017. საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები, თბ., გვ.93.

მკაცრი ღონისძიების გამოყენებით. სსსკ-ის 206-ე მუხლი აწესებს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, გაუქმების ან შეცვლის შესახებ როგორც შუამდგომლობის, ისე სასამართლოს განჩინების დასაბუთების ვალდებულებას, რაც თანხვედრაშია კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის სტანდარტთან.

სსსკ-ის 206-ე მუხლის თანახმად, დაცვის მხარის მიერ აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების თაობაზე შუამდგომლობით სასამართლოსთვის მიმართვას ნებისმიერ დროს ითვალისწინებს, მაგრამ იმ პირობით, რომ გამოვლენილია რაიმე ახალი გარემოება აღკვეთის ღონისძიების გადასასინჯად. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი დაცვის მხარის მიერ ახალი გარემოების წარდგენის გარეშე აღკვეთის ღონისძიების გადასინჯვას არ ითვალისწინებს, რაც ხშირად, ილობურულს ხდის დაცვის მხარის მიერ დაყენებული შუამდგომლობის შედეგად,

აღკვეთის ღონისძიების გადასინჯვის შესაძლებლობას.

საპატიმრო გირაოს გამოყენებასთან დაკავშირებით, კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტთან შეუსაბამოა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილი, რომელიც უშვებს პატიმრობის ავტომატური შეფარდების შესაძლებლობას, რაც კონვენციის მე-5 მუხლის მოთხოვნებს ეწინააღმდეგება.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ძირითადად შეესაბამება კონვენციის მე-5 მუხლით გარანტირებულ თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლებას და ადგენს პატიმრობის, როგორც უკიდურესი ღონისძიების გამოყენების პრინციპს, მნიშვნელოვანია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შემდგომი დახვეწის მიზნით, მასში სრულყოფილად იქნას იმპლემენტირებული კონვენციის მე-5 მუხლის სტანდარტები.

ლიტერატურა:

1. ბოხაშვილი ბ., მშვენიერაძე გ., ყანდაშვილი ი., 2016. ექვმიტანილთა საპროცესო უფლებები საქართველოში, თბ., გვ. 15, https://www.osgf.ge/files/2016/Publications/Reports_GEO-ENG-Web.pdf
2. ტრექსელი შ., 2009. ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., გვ. 441.
3. ბურდული ი., გოცირიძე ე., ერქვანია თ., ზოიძე ბ., იზორია ლ., კობახიძე ი., ლორია ა., მაჭარაძე ზ., ტურავა მ., ფირცხალაშვილი ა., ფუტკარაძე ა., ქანთარია ბ., წერეთელი დ., ჭორბენაძე ს., 2013. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., გვ. 139.
4. კორკელია კ., მჭედლიძე ნ., ნალბანდოვი ა., 2003. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის და მისი ოქმების სტანდარტებთან, თბ., გვ. 100.
5. მჭედლიძე ნ., 2017. საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები, თბ., გვ. 90-91.

THE ANALYSIS OF THE RECENT
STANDARDS OF APPLYING
COMPULSORY MEASURES
ACCORDING TO THE CASE LAW
OF THE EUROPEAN COURT
OF HUMAN RIGHTS
(The Analysis of the Criminal Procedure
Code of Georgia and its Compliance
with the Case Law of the European Court
of Human Rights)

Tamar Avaliani

*Doctor of Laws, Associate Professor at the Caucasus
International University*

KEYWORDS: Liberty, Presumption, Violation

RESUME

The present article – “The Analysis of the Recent Standards of Applying Compulsory Measures according to the Case Law of the European Court of Human Rights (The Analysis of the Criminal Procedure Code of Georgia and its Compliance with the Case Law of the European Court of Human Rights)” – discusses the recent case-law of the European Court of Human Rights on Article 5 of the European Convention together with the compliance of the Criminal Procedure Code of Georgia in terms of applying compulsory measures. The author explores the problematic aspects of Criminal Procedure Code

of Georgia regarding the application of the compulsory measures, such as arrest and bail. The article analyses the best practices and the recent standards of the ECtHR, as well as imperfections of the Criminal Procedure Code of Georgia.

NOTES:

1. Ress G., „The Effect of Judgments and Decisions in Domestic Law, in: The European System for the Protection of Human Rights”, R. Macdonald, F. Matscher & H. Petzold (Eds.), p. (in English)
2. Bratza N., „The Treatment and Interpretation of the European Convention on Human Rights By the English Court, in: Aspects of Incorporation of the European Convention of Human Rights into Domestic Law”, J.P. Gardner (Ed.), p. 69; (in English)
3. Janis M. W., Kay r. S., Bradley A.W., „European Human Rights law”, Text and materials, third ed. 2008, p. (in English)
4. Jimeno-Bulnes M., „Towards Common Standards on Rights of Suspected and Accused persons in Criminal Proceedings in the EU?”, February., CEPS, (in English)
5. Winterwerp vs. Netherlands, 6301/73, 24 October, 1979, (in English)
6. Buzadji vs. Moldova, 23755/07, 5 July, 2016, (in English)
7. Donna C., (February). „Deprivation of Liberty: Has the European Court of Human Rights Recognised a ‘Public Safety’ Exception, Merkourios”, Volume 29, p. 33 <https://utrechtjournal.org/articles/abstract/5334/ujiel.bl/> (2019). (in English)
8. Lawless vs. Ireland, 332/57, 1 July, 1961, 13- (in English)
9. Ladent vs. Poland, 11036/03, 18 March, 2008, 55- (in English)
10. Labita vs. Italy, 26772/95, 6 April, 2000, (in English)
11. Mowbray A., „Cases, Materials, and Commentary on the European Court on Human Rights” (3rd edn), p. <http://www.oxfordlawtrove.com/view/1093/he/0001/he-9780199577361-chapter-> (2019); (in English)
12. Winterwerp vs. Netherlands, 6301/73, 27 November, 1981,
13. Kurt vs. Turkey, 5/1997/799/1002, 25 May, (in English)
14. Giorgi Nikolaishvili, π37048/04, 13 January, 2009, paragraph.75; Patsuria vs. Georgia, 30779/04, 6 November, 2007, 66- (in Georgian)
15. Bakhmutskiy vs. Russia, 36932/02, 25 June, 2009, 135- (in English)
16. Human Rights in the Administration of Justice: A Manual on Human Rights for Judges, Prosecutors and Lawyers, P.211 (in English)
17. Aydin Y., „The delimitation of the scope of one of the guarantees of personal security set out in the European Convention on Human Rights”, p. (in English)
18. Mehmet Hasan Altan vs. Turkey, 13237/17, 10 September, 2018, (in English)
19. Tsarkov vs. Russia, 16854/03, 16 July, 2009, 45; (in English)
20. Selahattin Demirtas vs. Turkey, 14305/17, 20 November, 2018, paragraph.; Ilgar Mammadov vs. Azerbaijan, 15172/13, 20 May, 2014, (in English)
21. Bokhashvili B., Mshvenieradze G., Kandashvili I., Procedural Rights of the Suspects in Georgia, Tb., p. 15, https://www.osgf.ge/files/2016/Publications/Reports_GEO-ENG-Web.pdf (in Georgian)
22. Merabishvili vs. Georgia, 72508/13, 28 November, 2017, (in Georgian)

23. Steel and others vs. UK, 67/1997/851/1058, 23 September, 1998, (in English)
24. Labita vs. Italy, 26772/95, 6 April, 2000, (in English)
25. Talat Tepe vs. Turkey, 31247/96, 21 March, 2005, (in English)
26. Murray vs. UK, 14310/88, 28 October, (in English)
27. Merabishvili vs. Georgia, 72508/13, 14 June, 2016, 72-77; (in Georgian)
28. Leach P., Taking a Case to the European Court of Human Rights, Fourth Edition, p. (in English)
29. Boicenco vs. Moldova, 41088/05, 11 July, 2006, 142- (in English)
30. Selahattin Demirtas vs. Turkey, 14305/17, 20 November, 2018, (in English)
31. Treksel S., Human Rights in the Criminal Procedural Law, Tb., p. Fox, Campbell and Hartley vs. UK, 12244/86, 30 August, 1990, (in Georgian)
32. K-F vs. Germany, 44/1996/76/962, 27 November, (in English)
33. Macovei M., The Right to Liberty and Security of the Person, a guide to the implementation of article 5 of the European Convention of Human Rights, Human rights handbook, no.5, p.
34. Human Rights in the Administration of Justice: A Manual on Human Rights for Judges, Prosecutors and Lawyers, UNITED NATIONS, New York and Geneva, p. (in English)
35. Burduli I., Gotsiridze E., Erkvania T., Zoidze B., Izoria L., Kobakhidze I., Loria A., Macharadze Z., Turava M., Pirtskhalashvili A., Putkaradze A., Kantaria B., Tsereteli D., Jorbenadze S., Commentaries on the Constitution of Georgia, Section 2, Citizenship of Georgia. Basic Rights and Freedoms, Tb., p. (in Georgian)
36. S., V. and A. v .Denmark, 35553/12, 36678/12 and 36711/12, 22 October, (in English)
37. Benham vs. UK, 19380/92, 10 June, 1996, (in English)
38. Shimovolos vs. Russia, 30194/09, 21 June, 2011, (in English)
39. The complexity of the case against the person may be taken into consideration, though only this factor itself is not enough for continuing the arrest.
40. Buzadji vs. Moldova, 23755/07, 5 July, 2016, 88; Piruzyan vs. Armenia, 33376/07, 26 September, 2012, (in English)
41. Merabishvili vs. Georgia, 72508/13, 28 November, 2017, (in Georgian)
42. Nedim Sener vs. Turkey, 38270/11, 8 July, 2014, (In English)
43. W v. Vs. Switzerland, 14379/88, 26 January, 1993, (in English)
44. Khodorkovsky vs. Russia, 5829/04, 31 May, 2011, (in English)
45. Mikhalkhuk vs. Russia, 33803/04, 23 April, 2015, 53- (in English)
46. Letellier vs. France, 12369/86, 26 June, 1991, (in English)
47. Panchenko vs. Russia, 45100/98, 8 May, 2005, 106; Mansur vs. Turkey, 16026/90, 8 June, 1995, (in English)
48. Becciev vs. Moldova, 9190/03, 4 October, 2005, (in English)
49. Letellier vs. France, 12369/86, 26 June, 1991, (in English)
50. Jablonski vs. Poland, 33492/96, 21 December, 2000, (in English)
51. Sulaoja vs. Estonia, 55939/00, 15 February, 2005, (in English)
52. Neumeister vs. Austria, 1936/63, 27 June, 1968, (in English)
53. Merabishvili vs. Georgia, 72508/13, 28 November, 2017, (in Georgian)
54. Trzaska vs. Poland, 25792/94, 11 July, 2000, (in English)
55. Ahmet Ozkan vs. Turkey, 21689/93, 6 April, 397-398 (in English)
56. Lelievre vs. Belgium, 11287/03, 8 November, (in English)
57. Belchev vs. Bulgaria, 39270/98, 8 April, 2004, (in English)

58. Kostadinov vs. Bulgaria, 55712/00, 7 February, 2008, 78-(in English)
59. Merabishvili vs. Georgia 72508/13, 28 November, 2017, (in Georgian)
60. Patsuria vs. Georgia, 30779/04, 6 November, 2007, 71 (in Georgian)
61. Merabishvili vs. Georgia, 72508/13, 14 June, 2016, 89-(in Georgian)
62. Yevgeniy Gusev vs. Russia, 28020/05, 5 December, 2013, (in English)
63. Aleksandr Makarov vs. Russia, 15217/07, 12 March, 2009, 129- (in English)
64. Mikiashvili v. Georgia), 18996/06, 9 January, 2013, (in Georgian)
65. Letellier vs. France, 12369/86, 26 June, 1991, (in English)
66. Sopin vs. Russia, 57319/10, 18 December, 2012, (in English)
67. Dragin vs. Croatia, 75068/12, 24 July, 2014, (in English)
68. Bykov vs. Russia, 4378/02, 10 March, 2009, (in English)
69. A.B. vs. Hungary, 33292/09, 16 April, 2013, 23-26; Lakatos and others vs. Serbia, 3363/08, 7 January, 2014, (in English)
70. For example, murder in aggravating circumstances Amirov v. Russia, application no. 51857/13, Judgment of European Court of Human Rights (27 November 2014; paragraph.104), kidnapping a person for the aim of receiving ransom , Artemov v. Russia, application no. 14945/03 (Judgment April 3, 2014, paragraph. 73); kidnapping of a person repeatedly and by a group in the aggravating circumstances (Khloyev v. Russia), application no. 46404/13, Judgment of 2015, February 5, paragraph 98 and etc. (in Georgian)
71. Muller vs. France, 21802/93, 17 March, (in English)
72. Trifkovic vs. Croatia 36653/09, 6 November, 2012, (in English)
73. Mierzejewski vs. Poland, 15612/13, 24 February, 2015, (in English)
74. Aleksey Makarov vs. Russia, 3223/07, 12 June, 2008, (in English)
75. Lonneke L., (May), Pre-Trial Detention: The Presumption of Innocence and Article 5 of the European Convention on Human Rights Cannot and Does Not Limit its Increasing Use, European Journal of Crime, Criminal Law and Criminal Justice 17(2), p.177, https://www.researchgate.net/publication/228295001_Pre-Trial_Detention_The_Presumption_of_Innocence_and_Article_5_of_the_European_Convention_on_Human_Rights_Cannot_and_Do_Not_Limit_its_Increasing_Use (2019). (in English)
76. Guide on Article 5 of the European Convention on Human Rights, Right to liberty and security, Updated on 31 December P. 37, https://www.echr.coe.int/Documents/Guide_Art_5_ENG.pdf (in English)
77. Prencipe vs. Monaco, 43376/06, 16 October, 2009, (in English)
78. Minimum standards for the Rights of the Accused During Arrest/ Detention– <http://www.arab-niaba.org/publications/hr/jordan2/eric2-e.pdf>, (in English)
79. Milankovic and Bosnak vs. Croatia, 37762/12; 23530/13, 12 September, 2016, (in English)
80. Idalov vs. Russia, 5826/03, 22 May, 2012, (in English)
81. Lelievre vs. Belgium, 11287/03, 31 March, 2018, (in English)
82. Korkelia K., Mchedlidze N., Nalbandovi A., The the compliance of the Georgian legislation with the European Convention and its optional protocols' standards. Tb., p. (in Georgian)
83. Iwanczuk vs. Poland, 25196/94, 15 November, 2001, (in English).
84. Toshev vs. Bulgaria, 56308/00, 10 August, 2006, 69-72 (in English)
85. Gafa vs. Malta, 54335/14, 8 October, 2018, (in English)
86. Georgieva vs. Bulgaria, 16085/02, 3 October, 2008, 15, 30- (in English)
87. Gafa vs. Malta, 54335/14, 8 October, 2018, (in English).
88. Kolakovic vs. Malta, 76392/12, 19 June, 2015, (in English)

89. Leach P., Taking a Case to the European Court of Human Rights, Fourth Edition, p. (in English)
90. Toshev vs. Bulgaria, 56308/00, 10 August, 2006, (in English)
91. Mchedlidze N., The standards of application of European Convention of Human Rights by the general courts of Georgia Tb., p. 90-(in Georgian)
92. Clive Caballero vs. U.K, 32819/96, 8 February, 2000, 20-(in English)
93. Labita vs. Italy, 26772/95, 6 April, 2000, 163- (in English)
94. Ilijkov vs. Bulgaria, 33977/96, 26 July, 2000, 56- (in English)
95. Piruzyan vs. Armenia, 33376/07, 26 September, 2012, (in English)
96. Gafa vs. Malta, 54335/14, 8 October, 2018, 71; Kolakovic vs. Malta, 76392/12, 19 June, 2015, (in English)
97. Mchedlidze N., The standards of application of European Convention of Human Rights by the general courts of Georgia Tb., p. (in Georgian).

BIBLIOGRAPHY:

1. Bokhashvili B., Mshvenieradze G., Kandashvili I., 2016. Procedural Rights of the Suspects in Georgia, Tb., p. 15, https://www.osgf.ge/files/2016/Publications/Reports_GEO-ENG-Web.pdf (in Georgian);
2. Treksel S., 2009. Human Rights in the Criminal Procedural Law, Tb., p. 441 (in Georgian).
3. Burduli I., Gotsiridze E., Erkvania T., Zoidze B., Izoria L., Kobakhidze I., Loria A., Macharadze Z., Turava M., Pirtskhalashvili A., Putkaradze A., Kantaria B., Tsereteli D., Jorbenadze S., 2013. Commentaries on the Constitution of Georgia, Section 2, Citizenship of Georgia. Basic Rights and Freedoms, Tb., p. 139. (in Georgian).
4. Korkelia K., Mchedlidze N., Nalbandovi A., 2003. The the compliance of the Georgian legislation with the European Convention and its optional protocols' standards. Tb., p. 100. (in Georgian).
5. Mchedlidze N., 2017. The standards of application of European Convention of Human Rights by the general courts of Georgia Tb., p. 93.(in Georgian).